ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ14. 14240099**

თარიღი:**09/01/2024**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „ჯანმრთელობის დაცვა“, ქვეპროგრამის „მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება“ (ღონისძიება „გულის კტ კორონაროგრაფია“) განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „ჯანმრთელობის დაცვა“, ქვეპროგრამის „მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება“ ფარგლებში, ღონისძიების „გულის კტ კორონაროგრაფია“ თანადაფინანსების მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის № 29 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს:

ა) „მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება“ ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების „გულის კტ კორონაროგრაფია“ ფარგლებში სამედიცინო ვაუჩერის გაცემისა და გამოყენების წესი, თანახმად დანართი 1-სა;

ბ) სამედიცინო დაწესებულებასთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი, თანახმად დანართი 2-სა.

2. „მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება“ ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების „გულის კტ კორონაროგრაფია“ ფარგლებში გასაცემ სამედიცინო ვაუჩერზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური სამსახურის უფროსს.

3. „მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება“ ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების „გულის კტ კორონაროგრაფია“ ფარგლებში სამედიცინო დაწესებულებულებასთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაზე ქალაქ

ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ლელა სურმანიძეს.

4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურმა უზრუნველყოს „მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება“ ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების „გულის კტ კორონაროგრაფია“ ფარგლებში, სამედიცინო დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულების შენახვა, ხელშეკრულების შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებისათვის და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურისადმი მიწოდება.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი